

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ოქმი N19

ქ. ლანჩხუთი

14 სექტემბერი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტაძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერი ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლანჩუთი-გზას“ ლიკვიდაციის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი მ. წილოსანი/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 2 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ზ. აფხაზავა/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/ მომხსენებელი მ. წილოსანი /

5. სხვადასხვა.

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლანჩუთი–გზას“ ლიკვიდაციის შესახებ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა, ინფრასტრუქტურის, სამანდატო–საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების სხდომებზე განხილულ იქნა განკარგულების პროექტები (დასკვნები თან ერთვის). კომისიებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს შ.პ.ს. „ლანჩუთი–გზას“ ლიკვიდაცია.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) საკითხი შეტანილ იქნას 2011 წლის 16 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე,

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 2 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას 2011 წლის 16 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავჭავაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის, ესკიზის(გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ჩატარების განმახორციელებელი კომისიის მიერ ვერ გამოვლინდა გამარჯვებული ესკიზის პროექტი, რის გამოც კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად(2011 წლის 23 აგვისტო ოქმიN4).

კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის კონკურსის ძირითად პირობებში ცვლილებების შეტანის პროექტი, რომლითაც განისაზღვრა კონსკურსის ჩატარების ახალი ვადები, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას 2011 წლის 16 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტზე რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი იქნა განმარტებითი ბარათი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ყველა ქუჩის სახელდების პროექტთან დაკავშირებით. კომისიების მიერ პროექტზე წარმოდგენილია დადებითი დასკვნა.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას 2011 წლის 16 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი დააყენა საკითხი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპულ ომის მონაწილეთა ოჯახებისათვის საშემე მერქნით უზრუნველყოფის თაობაზე. მისივე განმარტებით, გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური

დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის მიერ უკვე შემუშავებულია პროგრამა და მოითხოვა პროგრამის განხილვა.

მანვე ითხოვა რთველთან დაკავშირებით გარე მოვაჭრეებისათვის შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე მომზადებულიყო გარევაჭრობაზე საკითხი.

2. საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტძემ დაავალა მუნიციპალიტეტის გამგებელს შესაბამის სამსახურებთან ერთად შეისწავლოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, მერაბ წილოსანის მიერ დაყენებული საკითხები და წარმოადგინოს პროექტი განსახილველად.

ორგანიზაციულ საკითხებზე ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანილი საკითხების განხილვისას თანამომხსენებლად განისაზღვროს სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვისათვის განსაზღვრული ძირითადი კომისიის თავმჯდომარეები.

2) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს (აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დონარა დოლიძე), საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების დაგზავნის და დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტძე

საკრებულოს აპარატის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი:

დონარა დოლიძე

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი

საოქმო საკითხებში

მაია კეკელიძე

